ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატის უფროსის
მოადგილე

ქ-ნ ნ. შალამბერიძეს,
ქ-ნ თ. გვაზავას

რეზოლუციის შესაბამისად.

#10/17632,10/17635,10/17636
11.11.2016

აპარატის უფროსის მოადგილე
ი. ჯაპანაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს აპარატის უფროსი

ქ-ნ ე.კაპანაძეს

რეზოლუციის შესაბამისად

№10/17632,10/17635,10/17636

11.11.16

აპარატის უფროსი

ე.დუმბაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ქ-ნ ე. დუმბაძეს

შესაბამისი რეაგირებისათვის.

№10/17632,10/17635
10/17636
10.11.16 წ.

გიორგი ალიბეგაშვილი
10.11.16 წ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი

მოგაწვდით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „დედაქალაქის“ 2016 წლის საქმიანობის ანგარიშს.

პატივისცემით

ფრაქცია „დედაქალაქის“ თავმჯდომარე ზაზა ვეკუა

17

10/17632, 10/17635, 10/17636

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია „დედაქალაქის“ 2016 წლის საქმიანობის ანგარიში

წინამდებარე ანგარიშის მიზანია თბილისის საკრებულოს, მოქალაქეებს, ყველა დაინტერესებულ პირს მიეწოდოს ინფორმაცია თბილისის საკრებულოს ფრაქცია „დედაქალაქის"(შემდგომში ფრაქცია) 2016 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

ფრაქციის წევრები კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით მონაწილეობას იღებდნენ მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებში, საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების შემუშავება-განხილვებში, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის, ასევე მასში ცვლილებების შეტანის საკითხების განხილვებში, საკრებულოს კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების მუშაობაში.

მოქალაქეების ინტერესებიდან გამომდინარე კითხვებით მიმართავდნენ საკრებულოსადმი ანგარიშვალდებული აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურებს, მაქსიმალურად ცდილობდნენ ამომრჩეველთა უფლებების, თავისუფლებებისა და ინტერესების დაცვას, რაც გამოიხატებოდა ამომრჩევლებთან შეხვედრებში, მათთვის საინტერესო წინადადებებისა და საკითხების განხილვასა და მათზე რეაგირებაში.

ფრაქციის წევრები სოციალური ქსელის დახმარებით მუდმივ კომუნიკაციაში იყვნენ მოქალაქეებთან, ფრაქციის ოფიციალური ინტერნეტ გვერდის მეშვეობით, ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საკუთარი მოსაზარებებისა თუ შენიშვნების დაფიქსირება.

ფრაქციის 2016 წლის საქმიანობის ანგარიშში წარმოდგენილია ფრაქციის ხედვა შემდეგ თემებზე: თბილისის ადგილობრივი ბიუჯეტი, მუნიციპალური შესყიდვები, დედაქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობა, სოციალური სფერო, დედაქალაქის ურბანული განვითარება, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და სხვა.

ფრაქცია „დედაქალაქის“ საქმიანობა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

	სხდომა	დასწრება
საკრებულოს სხდომა	26	20
საკრებულოს ბიურო	26	20
ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისია	28	20
სარევიზიო კომისია	11	7
ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისია	25	23
ეკონომიკური განვითარებისა და საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისია	11	10
განათლებისა და კულტურის კომისია	15	13
ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა	18	16
ფრაქცია	14	14

2016 წლის საბიუჯეტო პროცესი

ფრაქციის თვალსაზრისით, თბილისის მუნიციპალიტეტის ფინანსების მართვის პროცესის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების, ასევე საბიუჯეტო პროცესის შედეგზე ორიენტირებულობის კუთხით გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პროგრამული ბიუჯეტირების მოდელის რეალურ დანერგვას.

როგორც ცნობილია, ადრე მოქმედი ორგანიზაციული მოდელისაგან განსხვავებით, პროგრამული ბიუჯეტირების მთავარი დანიშნულებაა გაწეული საბიუჯეტო დანახარჯების შედეგად მივიღოთ ადექვატური სოციალურ ეკონომიკური ეფექტი, რომლის გაზომვა იქნება შესაძლებელი და თვალსაჩინო საზოგადოებისთვის.

ამიტომ, შესრულებულმა პროგრამამ უნდა გვიჩვენოს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, კონკრეტულ ღონისძიებაზე გაწეულ ხარჯსა და მიღწეულ შედეგს შორის. ეს რომ დავინახოთ საჭიროა პროგრამა შედგენილი იყოს კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად. პრაქტიკამ საპირისპირო ტენდენცია გვაჩვენა.

ფრაქციის შეფასებით, პროგრამული ბიუჯეტირების მიმართულებით მიღწეული გარკვეული პროგრესის მიუხედავად ცალკეული პროგრამებისა და ქვეპროგრამების საბოლოო და შუალედური შედეგების გაზომვის ინდიკატორები ვერ უზრუნველყოფს მიღწეული ეფექტიანობის შეფასებას.

კერძოდ, თბილისის, როგორც წინა წლების, ასევე 2016 წლის ბიუჯეტებით განსაზღვრულ უმეტესს პროგრამებში არ ჩანს ყველა მოსალოდნელი შედეგი, რადგან ინდიკატორების უმეტეს ნაწილს მიზნობრივი მაჩვენებლები არ გააჩნია, როგორც განსახორციელებელი ღონისძიებები, ასევე მოსალოდნელი შედეგები არ არის დეტალიზირებული.

საბიუჯეტო პროცესში ფრაქციის ყურადღების ცენტრში, თბილისის ხელისუფლების ადმინისტრაციული ხარჯების შემცირების საკითხი იყო. წარმოდგენილმა ბიუჯეტის

პროექტმა ნათლად დაგვანახა, რომ თბილისის მთავრობის მიერ დეკლარირებული ქამრების შემოჭერის პოლიტიკამ ფორმალური ხასიათი შეიძინა.

არ შესრულდა ადმინისტრაციული ხარჯების შემცირების კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნა, კერძოდ, დედაქალაქის ბიუჯეტის აღნიშნული მუხლის დაფინანსების ოდენობა არ შეიზღუდა, 2014 წლის გაწეული საკასო ხარჯვის დონეზე.

ფრაქციის შეფასებით, რეალურად შტატების შემცირებას ადგილი არ ქონია. რაც შეეხება პრემიებისა და დანამატების შემცირებულ მაჩვენებელს, მისი რეალური მიზეზი აუთვისებელი შტატები გახდა. მიმდინარე წლის განმავლობაში რეალურად დასაქმებულთა რიცხოვნობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება ბიუჯეტით განსაზღვრულ ოდენობას, რის გამოც, შრომის ანაზღაურების მუხლით გათვალისწინებული ასიგნებები ან აუთვისებელი რჩება ან ნაწილდება თანამშრომლებზე სხვადასხვა ტიპის მატერიალური წახალისების სახით. 2016 წლის ბიუჯეტის პროექტში კი მოხდა პრემიების და დანამატების აღდგენა შტატების საპროგნოზო რიცხოვნობის შესაბამისად.

ფრაქციამ გააკრიტიკა ხელშეკრულებით აყვანილ თანამშრომლებზე პრემია-დანამატების გაცემის შემთხვევები, რაც მოქმედი კანონმდებლობის დარღვევაა.

ფრაქციის ინიციატივა იყო ბიუჯეტის პროექტში, შრომის ანაზღაურების მუხლი წარმოდგენილი ყოფილიყო ჩაშლილი სახით, საბიუჯეტო კლასიფიკატორის მიერ განსაზღვრული ქვემუხლების ჩვენებით(სარგო, დანამატი, პრემია, ჯილდო და ა.შ.), რაც საკრებულოს უმრავლესობის მიერ არ იქნა გაზიარებული.

საქართველოს მთავრობის განკარგულებით სახელმწიფო/ადგილობრივი ბიუჯეტების გადასახდელების არანაკლებ 20% უნდა მიმართულიყო ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად. თბილისის ხელისუფლებამ კანონმდებლობის აღნიშნული მოთხოვნის საპირისპიროდ თბილისის 2016 წლის ბიუჯეტით არაფინანსურ აქტივების ზრდაზე გამოიყო გადასახდელების მხოლოდ 15.5%.

ფრაქციის ინიციატივა იყო თბილისის რაიონების მიხედვით, ისეთი ერთგვაროვანი საქმიანობის კალკულაცია, როგორიცაა გზების მშნებლობა, მოვლა-შეკეთება, ასევე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების დაფინანსება ყოფილიყო სისტემატიზირებული. დედაქალაქის მთავრობას არ გააჩნია კალკულაციების შედგენისა და გაანგარიშების ერთიანი მიდგომა. აღნიშნულის შედეგად, სხვადასხვა რაიონში ერთი და იგივე სამუშაოს შესრულებისას სხვადასხვა განფასებას ქონდა ადგილი. იგივე მდგომარეობაა სოციალური დახმარებების, ბინის ქირის კომპენსაციის გაცემის კუთხითაც. ასევე ხარჯთაღრიცხვის შედგენის დროს, ერთეული გამონაკლისის გარდა არ ხდება ლაბორატორიული დასკვნის გამოყენება.

ფრაქციის მოსაზრებით გაანგარიშების ერთიანი სისტემის არქონა წარმოშობს სულ მცირე, საბიუჯეტო სახსრების არარაციონალური ხარჯვის რისკს, რომ არაფერი ვთქვათ საბიუჯეტო თანხების არაკანონიერ განკარგვის საფრთხეზე.

დედაქალაქში მწვავე სატრანსპორტო პრობლემის არსებობის ფონზე ფრაქციამ დაუშვებლად მიიჩნია ბიუჯეტში მიწისქვეშა და მიწისზედა ავტოსადგომების მშენებლობის გაუთვალისწინებლობა.

ფრაქციის მოსაზრებით, ქალაქში არსებული სატრანსპორტო საშუალებების მიერ წარმოქმნილი საცობების გამო, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენის დაფინანსების შემცირება კიდევ უფრო დაამძიმებდა არსებულ სიტუაციას.

ფრაქციამ საბიუჯეტო თანხების არაეფექტურად განკარგვად მიიჩნია ა(ა)იპ „მეწარმეობის ხელშეწყობის ცენტრი"-ს და „თბილისის განვითარების ფონდი"-ს არსებული ფორმით ფუნქციონირება. მერიის განცხადების საპირისპიროდ, რომ დაფინანსება მოხდებოდა არასაბიუჯეტო სახსრებით, ორივე ორგანიზაციას მხოლოდ აპარატების შესანახად ბიუჯეტის პროექტით გამოეყოთ ერთი მილიონი(მთელი ასიგნებების 40%) და 4.3 მილიონი ლარი. „თბილისის განვითარების ფონდი" ფაქტობრივად ჩამოყალიბდა ტენდერების ჩამტარებელ დამატებით სტრუქტურად.

ფრაქციამ დააყენა საკითხი, მომხდარიყო კოოპერატიული და დაუმთავრებელი ბინათმშენებლობის თანხების ჩაშლა კონკრეტული ობიექტების მიხედვით, რაც საკრებულოს მიერ გათვალისწინებული იქნა.

ქალაქში არსებული მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, ფრაქციამ დაუშვებლად მიიჩნია ეკოლოგიის მიმართულებით დაფინანსების შემცირება. ფრაქციის მოსაზრებით გარემოსდაცვითი კუთხით გამოყოფილი ფინანსებით, შეუძლებელი იქნებოდა როგორც რისკების პრევენცია, ასევე შედეგზე ორიენტირებული გამწვანების ღონისძიებების ჩატარება. მერიას არ ესმის, რომ პრევენციაში ჩადებული ფინანსები ბევრად ამცირებს როგორც მოსალოდნელ ზიანს, ასევე მისი აღმოფხვრის ხარჯებს.

2016 წლის ბიუჯეტში ცხრა თვის განმავლობაში 4 ცვლილება შევიდა, რაც ბიუჯეტის დაგეგმვის არაკვალიფიციურობაზე მეტყველებს.

2016 წლის ბიუჯეტის ცვლილებების პროექტით კომუნალური სუბსიდირება, კერძოდ დახმარების მიმღები ოჯახების კატეგორიების შერჩევის, ასევე დახმარების ოდენობის განსაზღვრის კომპეტენცია საკრებულოს ნაცვლად თბილისის მთავრობას გადაეცა. ფრაქციის აზრით აღნიშნული საკითხის აღმასრულებელ ხელისუფლებაზე

დელეგირებამ დააკნინა საკრებულოს სტატუსი, შეზღუდა მისი უფლებამოსილება, საბიუჯეტო პროცესი ხდება არატრანსფარენტული.

ფრაქცია არ დაეთანხმა თბილისის მთავრობის კომუნალური სუბსიდირების პროგრამის შემცირების ინიციატივას. ფრაქციის მოსაზრებით, თბილისის მთავრობამ ამ გადაწყვეტილების მიღებისას არ გაითვალისწინა გაზრდილ კომუნალური ტარიფები და ინფლაცია, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია საშუალო და მცირე შემოსავლიანი ოჯახების ბიუჯეტებზე. ამიტომ აღნიშნული სოციალური ფენა აუცილებლად უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული კომუნალური სუბსიდირების დროს. ასევე გამონთავისუფლებული თანხები, ისევ სოციალურ პროგრამებზე უნდა მიმართულიყო.

აღნიშნული საბიუჯეტო ცვლილებებით გაუქმდა თბილისის მთავრობის მიერ ორი თვის წინ რეკლამირებული „მეწარმეობის ხელშეწყობის ცენტრი". ერთი პრობლემაა, როცა მერია ვერ ახერხებს ეფექტური ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებას, მაგრამ მეორე პრობლემაა როცა გამოთავისუფლებულ ფინანსურ რესურს არ მიმართავს მეწარმეობის განვითარებისთვის, ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად.

ფრაქცია მხარი არ დაუჭირა კულტურის დაწესებულებების მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების პროგრამის შემცირებას, მაშინ როცა ყველასათვის ნათელია ამ დაწესებულებების ინფრასტრუქტურის არსებული სავალალო მდგომარეობა.

ანალოგიურად ფრაქცია წინააღმდეგი იყო მერიის ინიციატივის, მეტრო სადგურების რეკონსტრუქციის პროგრამის შემცირების, პროგრამის, რომელიც ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხო და კომფორტული მგზავრობის უზრუნველყოფისათვის თვითონ მერიამ შემოგვთავაზა ბიუჯეტის პირველი ვარიანტით.

ფრაქციამ მხარი არ დაუჭირა 2015 წლის თბილისის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცებას, რადგან საკრებულომ ბიუჯეტის შესრულების წლიური

ანგარიში განიხილა აუდიტორული დასკვნის გარეშე, შესრულების შესახებ ანგარიშგება სრულად არ მოიცავდა ინფორმაციას ბიუჯეტით განსაზღვრული ყველა პროგრამის შესახებ და უმეტეს შემთხვევებში ინფორმაცია მიღწეული შედეგების შესახებ არ იყო წარმოდგენილი შეფასების ინდიკატორების მიხედვით.

მუნიციპალური შესყიდვები

ფრაქცია სახელმწიფო შესყიდვების პროცესს საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი ხარჯვის უმნიშვნელოვანეს კომპონენტად მიიჩნევს. შესაბამისად, ფრაქცია მუდმივად ამახვილებს ყურადღებას შესყიდვების პროცესში საჯაროობის, გამჭვირვალობის, კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვისა და კონკურენტული გარემოს აუცილებლობის შესახებ.

ფრაქციის დაკვირვებით მუნიციპალური შესყიდვების პროცესისთვის დამახასიათებელია არსებითი ხარვეზები, რომლებმაც წლების მანძილზე ტენდენციის ხასიათი შეიძინა.

შესყიდვების დამტკიცებულ გეგმებში ხდება ხშირი და მოცულობითი ცვლილებები;

ჩაშლილი ტენდერები, რომელთა წილი საგრძნობია გამოცხადებულ ტენდერების საერთო რაოდენობაში;

ერთის მხრივ არის შემთხვევები, როცა აუცილებელი დოკუმენტაციის დაგვიანებით ან არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში არ ხდება პრეტენდენტთა დისკვალიფიკაცია და მეორეს მხრივ როცა შესასყიდი მომსახურების ტექნიკური და ხარისხობრივი მახასიათებლები ისეა განსაზღვრული, რომ შესყიდვის პროცესი ხდება არაკონკურენტული და აშკარად იკვეთება ერთი მომწოდებლის ინტერესი;

ორმაგი სტანდარტი, როცა თბილისში, გზების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე ჩატარებული რიგ ტენდერებში, სატენდერო პირობების მიხედვით კომპანიას

გამოცდილება მოეთხოვება, რიგ შემთხვევებში კი იგივე ტიპის სამუშაოს შესასრულებლად გამოცდილების პირობა არ დევს. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა არ ითხოვს მეწარმე სუბიექტის გამოცდილებას. შედეგად მივიღეთ კონკურენციის გარეშე ჩატარებული ტენდერები სადაც ფასი გაცილებით მაღალი დაფიქსირდა, ვიდრე კონკურენციის პირობებში იქნებოდა;

სათანადოდ არ ხორციელდებოდა ბაზრის წინასწარი კვლევა, სრულყოფილად არაა დასაბუთებული გადაუდებელი აუცილებლობით და შესაბამისად, ტენდერის ჩატარების გარეშე განხორციელებული შესყიდვების საჭიროება;

ტენდერის გარეშე ' ერთ პირთან მოლაპარაკებების შედეგად დადებული ხელშეკრულებების სიმრავლე;

2016 წლის 9 თვის განმავლობაში მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერებსა და ხელშეკრულებებს თუ გადავხედავთ, დავინახავთ შემდეგ ტენდენციას:
მერიამ გამოაცხადა 425 ტენდერი, აქედან 89(საერთო რაოდენობის 21%) ტენდერი ჩაიშალა;
გამოცხადებული 425 ტენდერიდან ერთ პირთან მოლაპარაკებით 178(საერთო რაოდენობის 42%) ხელშეკრულება გააფორმდა;
რაც შეეხება იმ კატეგორიას. რომელშიც ყველაზე დიდ თანხიანი ხელშკრულებები ფორმდება. კონკრეტულად სამშენებლო სამუშაოები, რომელიც თბილისში გზების დაგებას. საფარის შეკეთებას ეხება. მერიამ 69(16%) ტენდერი გამოაცხადა. რომელიც დაახლოებით 80 მილიონი ლარის ბახლდათ. 17(25%)ტენდერი ჩაიშალა და დარჩენილ 52 ტენდერზე ხელშეკრულება წარმატებით გაფორმდა. მოცემული 52 ხელშეკრულება -თავდაპირველად 58 202 882 ლარის ღირებულების იყო. მაგრამ კონკურენციის პირობებშიმათ ფასმა საგრძნობლად იკლო და საბოლოოდ 49 557 997 ლარის ფარგლებში ჩამოყალიბდა. ანუ მერიამ აღნიშნულ სამუშაოებზე ტენდერის გამოცხადებით 9 000 000 ლარი დაზოგა. აღნიშნულის საპირისპიროდ, პარალერულ

რეჟიმში მერიამ ერთ პირთან მოლაპარაკებით 25 043 495 ლარის ღირებულების, 27 ხელშეკრულება გააფორმა, რითაც მილიონობით ლარის დაზოგვაზე თქვა უარი.

ერთ პირთან მოლაპარაკებით ხელშეკრულება. „შესყიდვების შესახებ კანონის" მისედვით მხოლოდ აუცილებელი მდგომარეობის ან ფორსმაჟორული სიტუაციისას იდება. რა თქმა უნდა მერია დოკუმენტაციაში უთითებს, რომ ყველა ერთ პირთან მოლაპარაკებთ დადებული ხელშეკრულება სწორედა ასეთ პირობებშია დადებული, მაგრამ ხელშეკრულებებში ვადებს თუ გადავხედავთ აღმოვაჩენთ, რომ ბევრ შემთხვევაში შესაძლებელი იყო ტენდერის ჩატარება დადგენილი ვადების დაცვით, შესაბამისად, ტენდერი ჩასატარებელი სამუშაოს ღირებულებას საგრძნობლად შეამცირებდა. ამასთან, მოცემულ კატეგორიაში ტენდერებით დადებულ და ერთ პირთან მოლაპარაკებით დადებულ ხელშეკრულებებს თუ შევადარებთ, დავინახავთ, რომ ტენდერით შედეგად, ყველაზე დიდი, მილიონ ნახევრიანი ხელშეკრულებაა გაფორმებული, ხოლო ერთ პირთან მოლაპარაკებით კი მრავლად არის 3 და 4 მილიონიანი ხელშეკრულებები. ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, ადგილი ხომ არ აქვს კორუფციულ გარიგებებს სასურველ კონტრაქტორ ფირმებთან.

გარემოს დაცვა, ურბანული განვითარება

2015 წელს მომზადდა და დამტკიცდა თბილისის მერიის გარემოსდაცვითი სტრატეგია. შემდგომი ნაბიჯი აღნიშნული სტრატეგიის ინპლემენტაციის ინსტრუმენტებისა და სამოქმედო გეგმების განსაზღვრა, თბილისის ბიუჯეტის პროგრამებში ასახვა უნდა ყოფილიყო, რაც ნაწილობრივ შესრულდა.

ფრაქცია განვლილი ერთი წლის განმავლობაში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა თბილისში მწვანე საფარის შენარჩუნების, დედაქალაქის მწვანე კლასტერებში ურბანული განვითარების რეგულირების(მ.შ.-შეზღუდვის) და ახალი რეკრეაციული ზონების გაჩენის საკითხს.

მათ შორის არის გერგეთი ქუჩა, სადაც სასტუმროსა და ახალი საცხოვრებელი სახლის მშენებელობას კლდის მასივი და მასზე არსებული მწვანე საფარი ეწირება. ფრაქციის წევრებმა გერგეთის ქუჩის მოსახლეობათან ერთად, მშენებლობის შეჩერების მოთხოვნით რამოდენიმე აქცია გამართეს და საკითხიც საკრებულოს სხდომაზე არა ერთხელ დააყენეს. მწვანე საფარის გაქრობასთან ერთად კლდის მასივის დაზიანების გამო ამ ქუჩაზე მცირე მეწყერული პროცესები უკვე შეიმჩნევა, მომავალში კი მშენებლობის ასეთი მაშტაბებით გაგრძელებამ შესაძლოა რთულ ეკოლოგიურ შედეგებამდე მიგვიყვანოს, ხოლო არსებული სატრანსპორტო კომუნიკაციის შეზღუდულობის გამო არის რეალური საშიშროება. რომ ქუჩები გახდნენ გაუვალნი.

პასუხგაუცემელი კითხვებია ყაზბეგის პროსპექტის #22-ში ხეების მოჭრის საკითხთან დაკავშირებით, რის გამოც ფრაქციისა და სხვა ოპოზიციურ ჯგუფების მოთხოვნით საკრებულოში დედაქალაქის მერი იყო დაბარებული. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მიუხედავად გამოძიება ხელოვნურად ჭიანურდება.

ფრაქცია ორი წელია ცდილობს მოქალაქეებთან ერთად ასათიანის #10-ში დაწყებული მშენებლობის საკითხის მოგვარებას, რომელმაც ასევე მწვანე საფარს მიაყენა ზიანი. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების მიუხედავად თბილისის მერია მის აღსრულებას არ ჩქარობს, რაც მშენებლობის შეჩერებას, ნიადაგისა და ტერიტორიის სრულყოფილ შესწავლას გულისხმობს.

ფრაქცია აქტიურად იყო ჩართული ფარნავაზ მეფის სკვერში ოპოზიციისა და მოქალაქეების ძალისხმევით შეჩერებული მშენებლობის და რეკრეაციული ზონის შენარჩუნების პროცესში. მერიას ჯერ კიდევ ერთი წლის წინ უნდა უზრუნველყო ინვესტორისთვის სანაცვლო ტერიტორია, რის გამოც კვლავ ღიად რჩება ამ საზოგადოებრივი სივრცის ბედი.

ფრაქციის საქმიანობის დღის წესრიგში კვლავ რჩება ყოფილი იპოდრომის ტერიტორიის საკითხი. ფრაქციის ინიციატივაა მოხდეს კერძო მფლობელისგან მისი

გამოსყიდვა, ან სანაცვლო ტერიტორიის შეთავაზება, რათა თბილისს შეუნარჩუნდეს აუცილებელი რეკრეაციული ზონა და გაჩნდეს ახალი საზოგადოებრივი სივრცე.

ფრაქციის კიდევ ერთი ინიციატივაა გლდანში პატარა ტბის ტერიტორიის მიმდებარედ რეკრეაციულ/დასასვენებელი ზონის მოწყობა. ეს ადგილი ჭაობად და ნაგავის საყრელადაა ქცეული, მაშინ როცა გარშემო არ არსებობს რაიმე სახის საზოგადოებრივი სივრცე. ტერიტორია მუნიციპალურ საკუთრებაშია, რაც საკითხის მოგვარების სამართლებრივ და ტექნიკურ მხარეს აიოლებს.

ფრაქცია 13 -14 ივნისის სტიქიური უბედურების დროს აქტიურად იყო ჩართული სამოქალაქო სოლიდარობის პროცესში. დეპუტატები ხვდებოდნენ დაზარალებულ მოსახლეობას, აქტიურად იცავდნენ მათ ინტერესებს საკრებულოში და მერიაში. ფრაქცია წელსაც აქტიურად მონაწილეობდა სტიქიის შედეგების აღმოფხვრის დროს წარმოქმნილი პრობლემების მოგვარების საქმეში, იქნებოდა ეს უძრავი ქონების თუ დაუზღვეველი ავტომობილების მესაკუთრეთათვის ზარალის სამართლიანი ანაზღაურება.

ფრაქცია მუდმივად ამახვილებს ყურადღებას თბილისსა და მის შემოგარენში გეოლოგიური უსაფრთხოების თვალსაზრისით რთული ვითარებაზე.

საუკუნის დასაწყისში დედაქალაქში 60 მეწყრული უბანი იყო დაფიქსირებული. ამჟამად, მარტო მდინარე გლდანულას აუზში. საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით ჩატარებული კვლევების შედეგად 82 მეწყრული უბანი დადგინდა. ამავე აუზში დამატებით რამოდენიმე ღვარცოფული ხევია. ივნისის სტიქიის შემდეგ მდინარე ვერეს ხეობაში 70-მდე ახალი მეწყრული უბანი გაჩნდა.

ვერეს ხეობის მოვლენებმა დედაქალაქში კატასტროფების მართვის კუთხით არსებული პრობლემები გამოკვეთა. თბილისის მაშტაბით სტიქიურ-გეოლოგიური პროცესების მონიტორინგს. შეფასებას. პროგნოზსა და კონკრეტული ღონისძიებების გასატარებლად რეკომენდაციების გაცემას სპეციალიზირებული გეოლოგიური

სამსახური აწარმოებდა, რომელიც 1996 წელს გაუქმდა და აღნიშნული ფუნქციები მხოლოდ ფორმალურად გადავიდა მერიის გამგებლობაში.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი რაზეც ფრაქცია საუბრობს, დედაქალაქში შემომავალი მდინარეების მტკვართან დამაკავშირებელი კოლექტორებისა და გვირაბების არსებული მდგომარეობაა. ფრაქციის მოსაზრებით აუცილებელია აღნიშნული ინფრასტრუქტურის გამტარუნარიანობისა და მდგრადობის პერმანენტული მონიტორინგი. მითუმეტეს. როცა იქ ღვარცოფულმა ნაკადებმა უკვე გაიარეს ან სავარაუდოდ გაივლიან.

ჯანდაცვა, სოციალური სფერო, განათლება

ფრაქციის სახელზე, მარტო ბოლო თვეების განმავლობაში ჯანდაცვისა და სოციალური მიმართულებით რამოდენიმე ათეული წერილი შემოვიდა, რომელზეც ფრაქციამ კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი რეაგირება მოახდინა.

ფრაქციის ინიციატივაა ლეიკემიიით დავადებულთა მკურნალობის სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული ასაკის მოხსნა და ბენიფიციართა არეალის გაფართოება. პრაქტიკამ დაგვანახა, რომ მერია ამ მიმართულებით გამოყოფილ საბიუჯეტო თანხებს სრულად ვერ ითვისებს. ამიტომ ლოგიკური და სამართლიანია პროგრამის ფარგლებში გაცილებით მეტმა ადამიანმა მიიღოს დახმარება.

ფრაქციის კიდევ ერთი ინიციატივაა, კომუნალური ვაუჩერის ყველა სოციალურად დაუცველ პირზე გაცემა. ამ ეტაპზე, მერიის გადაწყვეტილებით, კომუნალური ვაუჩერით, მხოლოდ 200 000-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახები სარგებლობენ, რასაც ფრაქცია მუდმივად აპროტესტებს და ატუალობას არ კარგავს.

ბოლო ერთი წლის განმავლობაში, მერიის მხრიდან ბაგა ბაღების თემატიკისადმი გაუმჯობესებული მიდგომა შეინიშნება. თუმცა ამ მიმართულებით კვლავ რჩება პრობლემები. უასლოეს მომავალში აუცილებელია, ბაღის აღმზდელებს პედაგოგის

სტატუსი მიენიჭოთ და მუშაობის 2 ცვლიან გრაფიკზე გადავიდნენ. ასევე აუცილებელია მათი ხელფასების ეტაპობრივი ზრდა.

ფრაქცია საქმიანობის ყურადღების ცენტრშია მუნიციპალურ საკუთრებაში მყოფი საპარკინგო მოედნების და ატრაქციონების უსაფრთხო ფუნქციონირება, რადგან ხშირად ბავშვები სერიოზულ ტრავმებს იღებენ, რასაც ფრაქციის სახელზე შემოსული მოქალაქეთა წერილები მეტყველებს. ამიტომ ფრაქცია თავისი მიმართვებით მოითხოვდა მერიისა და შესაბამისი სამსახურების მხრიდან მუდმივი მონიტორინგის დაწერგვას.

ფრაქციის ზრუნვის საგანია ქალაქის მჭიდროდ დასახლებულ უბნებში ახალი საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა. შესაბამისად ფრაქცია პერმენენტულად მიმართავს თბილისის მერიას იზრუნოს ქალაქის განვითარებაზე და მოქალაქეების კეთილდღეობაზე, მათ შორის დამატებითი დასასვენებელი სივრცეების შექმნაზე.

ფრაქცია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დედაქალაქის ისტორიულ-არქიტექტორული იერსახის შენარჩუნებას. აღნიშნული მიზეზით გააპროტესტა ფრაქციამ თბილისის საკრებულოსთან სასტუმროს მიმდინარე მშენებლობა, რომლის დიზაინი სერიოზულად აზიანებს დედაქალაქის მთავარი მოედნისა და ისტორიული შენობის იერსახეს. გარდა ამისა არსებობს ობიექტური საფრთხე, რომ გალაქტიონ ტაბიძის ვიწრო ქუჩა ასეთი მასშტაბის დატვირთვას ვერ გაუძლებს.

ფრაქცია მოსაზრებით უნდა გაირკვეს რამდენად კანონიერად მოხდა მშენებლობის ირგვლივ არსებული რისკების შესწავლა და შემდგომში ნებართვის გაცემა.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება და მოძრაობის ორგანიზაცია ეს ის თემაა, რომელსაც ფრაქცია ყოველდღიურად ეხმიანება და მერიას საცობების პრობლემის გადაჭრის ხედვასაც სთავაზობს.

ფრაქციის ინიციატივით აუცილებელია, სასწრაფოდ შეიქმნას მოძრაობის ორგანიზაციისა და უსაფრთოების ერთიანი მაკოორდინირებელი ორგანო, რომელიც სწრაფად მოახდენს კონკრეტული საცობის იდენტიფიცირებას და მისი პრობლემის დროულად გადაჭრას. ეს ყველაფერი კი დამატებითი საბიუჯეტო ასიგნებების გარეშე, არსებული ბიუჯეტის ფარგლებში უნდა განხორციელდეს.

ფრაქციის მოსაზრებით თბილისში საცობების განმუხტვა მუნიციპალური და კომერციული ტრანსპორტის გამიჯვნით, ტაქსების რეგულაციით, ტექდათვალიერების შემოღებითა და მართვის მოწმობის აღების სისტემაში ცვლილებებით უნდა მოხდეს.

ფრაქცია ასევე გამოვიდა ინიციატივით, თბილისის მერიამ მოითხოვოს საწვავისა და ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის განხორციელება, ვინაიდან დედაქალაქში მწყობრიდან გამოსული თუ ახალი ავტომობილების რაოდენობის ზრდისა და მწვანე საფარის განადგურების პარალელურად იმატა დაბინძურებულმა ჰაერმა და შესაბამისად სხვადასხვა დაავადებებმა.

სწორედ ამიტომ, ფრაქციის ინიციატივით აუცილებელია, მოხდეს ელექტო ავტომობილების შემოყვანაზე სხადასასხვა შეღავათების დაწესება და მათი წახალისება. ეს პროექტი ძველი ავტომობილების ახლით ჩანაცვლებას შეუწყობს ხელს, რაც ქალაქის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე დადებითად იმოქმედებს.

როგორც ცნობილია დედაქალაქის მთავრობამ წინა საარჩევნო დაპირება ვერ შეასრულა, „სითი პარკთან" დაკავშირებთ. წინა ხელისუფლების დროს დადებული კონტრაქტი არ გააუქმდა და შესაბამისად ვერც მინიჭებული უფლება მოეხსნა აღნიშნულ კომპანიას. ფრაქციამ მერიას კონკრეტული გეგმა შესთავაზა თუ როგორ უნდა მოხდეს აღნიშნული კომპანიის სამართლებრივი სივრციდან გაყვანა და თბილისში პარკირების ახალი მუნიციპალური სისტემის შექმნა.

ფრაქციამ მერიას შესთავაზა მოეხდინა „სითი პარკის“ 10 ლარიანი ჯარიმების შედეგად დაჯარიმებულთა ამნისტია, რომლის აუცილებლობა გამომდინარეობს სითი პარკის მიერ ჯარიმების ამოღების გაუმართავი ადმინისტრირებიდან.

ფრაქციის ინიციატივის მიუხედავად კვლავ ღია რჩება თბილისის ტაქსით მომსახურების საკითხი. უცნობია როგორ აპირებს მერია ამ საკითხის გადაწყვეტას და ამ სფეროს რეგულაციას, დედაქალაქში გადაადგილების პრობლემის ფონზე.

ფრაქცია თბილისში ახალი ავტობუსების შემოყვანის პროცესში აქტიურად იყო ჩართული, თუმცა თბილისის მერიას მუდმივად ახსენებს, რომ ამ სფეროში ბევრი ხარვეზია, რომლიც დროულად გადაჭრას საჭიროებს.

მოქალაქეების უსაფრთხო მგზავრობიდან გამომდინარე, ფრაქციის მიერ არა ერთგზის იქნა აღნიშნული, რომ აუცილებელია საფრთხის შემცველი, გაზზე მომუშავე ყვითელი მიკრო ავტობუსების ექსპლუატაციიდან ამოღება. სასწრაფოდ უნდა გადაიხედოს წინა ხელისუფლების დროს ყვითელი მიკრო ავტობუსების კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც კორუფციულ ნიშნებს შეიცავს და კაბალურ პირობებში აგდებს, როგორც მძღოლს, ასევე მგზავრს. გამართული საზოგადოებრივი ტრანსპორტი კი საცობების განტვირთვის ერთ- ერთი მექანიზმია.